საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის გათვალისწინებით) ცვლილების სახეობა:

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანა.

განსახილველი საკითხი:

- საკანონმდებლო წინადადებების განხილვის შედეგების შეტყობინების განსაზღვრა.

კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლით არის განსაზღვრული საქართველოს მოქალაქის უფლება საკანონმდებლო წინადადება (დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე) წარადგინოს საქართველოს პარლამენტში, რომელიც პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას წერიდგინება. პარლამენტის ბიურო საკანონმდებლო წინადადებას გადასცემს წამყვან კომიტეტ(ებ). რეგლამენტის 105-ე მუხლით ასევე მოცემულია განხილვის ვადებიც, განსაზღვრულია კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო წინადადების განხილვისას წინადადების ავტორის მიწვევის შესაძლებლობაც. ამასთან, საკანონმდებლო წინადადების საკომიტეტო სხდომაზე განხილვის შემდგომ კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცეს დასკვნას - სადაც მოტივირებული გადაწყვეტილებით საკანონმდებლო წინადადება შეიძლება ცნობილ იქნეს მიღებულად ან უარყოფილად. კომიტეტი საკანონმდებლო წინადადების თაობაზე თავის გადაწყვეტილებას აცნობებს პარლამენტის ბიუროს. მიუხედავად ასეთი დეტალიზირებული პროცედურებისა, რეგლამენტი არ განსაზღვრავს საკანონმდებლო წინადადების წარმდგენი პირისათვის საკომიტეტო განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების ვალდებულებას, რაც სასურველია, რომ აღმოიფხვრას, რამეთუ განხილვის შედეგებისადმი მოლოდინი შესაძლოა გააჩნდეს ისეთ განმცხადებელსაც, რომელსაც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა არ გააჩნდეს და ვერ გაეცნოს

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2638/24
04 03 2024 ფურცელ. 2

საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე (ჩანართი კანონმდებლობა) პროაქტიულად გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას. თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის შემთხვევაშიც, მცირედი დისკომფორტი მაინც არსებობს იქიდან გამომდინარე, რომ არც თუ იშვიათად, გადატივრთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, საკანონმდებლო წინადადებების განხილვა დადგენილ ვადებში ვერ სრულდება და მოლოდინის რეჟიმში მყოფ განმცხადებელს აიძულებს მისთვის საინტერესო ჩანაწერის შემცველი ვებ გვერდი პერიოდულად ათვალიეროს. ჩემს წინადადებას სწორედ, რომ ამ გამოწვევის აღმოფხვრა წარმოადგენს საკანონმდებლო წინადადება და ამ გზად კი 105-ე მუხლის მე-6 პუნქტით, ბიუროსთან ერთად, გადაწყვეტილების ამავდროუად მიმღებ პირად წინადადების ავტორიც წარმოადგენდეს.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა: [redacted] რეგისტრაციის ადგილი: ქ. [redacted]

03/03/2024